

შპს „ფარდი მედიკალს“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის  
ფინანსური ანგარიშგება

შპს „ფარდი მედიკალს“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის  
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

|                                          |   |
|------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... | 3 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....       | 4 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....  | 5 |

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                 |    |
|-----------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                      | 10 |
| 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ..... | 10 |
| 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები .....     | 12 |
| 4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის .....                    | 13 |
| 5. ძირითადი საშუალებები .....                                   | 14 |
| 6. მარაგები .....                                               | 15 |
| 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                             | 15 |
| 8. ფული და ფულის ექვივალენტები .....                            | 15 |
| 9. მიღებული სესხები .....                                       | 16 |
| 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                         | 16 |
| 11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                     | 16 |
| 12. შემოსავალი .....                                            | 17 |
| 13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება .....                   | 16 |
| 14. სხვა შემოსავალი .....                                       | 16 |
| 15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                    | 17 |
| 16. ბალანსის შემდგომი მოვლენები .....                           | 17 |

შპს „ფარდი მედიკალს“-ის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

**შპს "ფარდი მედიკალს"**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

|                                                  | 31.12.2023     | 31.12.2022     |
|--------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                                  |                |                |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                     |                |                |
| ძირითადი საშუალებები                             | 18109          | 17410          |
| არამატერიალური აქტივები                          | -              | -              |
| საინვესტიციო ქონება                              | -              | -              |
| ბიოლოგიური აქტივი                                | -              | -              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                 | <b>17814</b>   | <b>17115</b>   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                        |                |                |
| მარაგები                                         | 595581         | 432183         |
| გაცემული სესხები                                 | -              | -              |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                       | 1232680        | 1017556        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                      | 105732         | 88441          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                    | <b>1933993</b> | <b>1538180</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                              | <b>1951807</b> | <b>1555295</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>        |                |                |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                         |                |                |
| კაპიტალი                                         | -              | -              |
| დაგროვილი მოგება                                 | 1870187        | 1421535        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                     | <b>1870187</b> | <b>1421535</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                |                |                |
| სასესხო ვალდებულება                              | -              | 11077          |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება                     | -              | -              |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები (მოგება) | -              | -              |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>            | <b>-</b>       | <b>11077</b>   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                   |                |                |
| მიღებული სესხები                                 | -              | 13490          |
| მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან     | -              | -              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                    | 81620          | 109192         |
| საგადასახადო ვალდებულებები                       | -              | -              |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>            | <b>81620</b>   | <b>122682</b>  |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>    | <b>1951807</b> | <b>1555295</b> |

შპს "ფარდი მედიკალს"  
სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                                            | 2023           | 2022           |
|------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ამონაგები                                                  | 3239964        | 2861888        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                      | (934870)       | (903392)       |
| <b>საერთო მოგება</b>                                       | <b>2305094</b> | <b>1958496</b> |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                          | (470342)       | (360803)       |
| რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები                          | (757080)       | (465636)       |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება</b>            | <b>1077672</b> | <b>1132057</b> |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                              | 20             | -              |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                                   | -              | -              |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ("ზარალი"), ნეტო    | (12346)        | 58943          |
| ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/("ზარალი") | -              | -              |
| ფინანსური ხარჯი                                            | (2847)         | (5384)         |
| ფინანსური შემოსავალი                                       | 11673          | 12996          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                  | <b>1074172</b> | <b>1198612</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  | -              | -              |
| <b>წმინდა მოგება/ზარალი</b>                                | <b>1074172</b> | <b>1198612</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                                      | -              | -              |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>                                | <b>1074172</b> | <b>1198612</b> |


  
 404474243  
 FARDI MEDICALS LTD  
 შპს

შპს "ფარდი მედიკალს"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

|                                | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება/ზარალი | სულ      |
|--------------------------------|-----------------------|------------------------|--------------------------------|----------|
| <b>ნაშთი 1 იანვარი 2022</b>    | -                     | -                      | 637908                         | 637908   |
| წლის წმინდა მოგება             |                       |                        | 1198612                        | 1198612  |
| ძს-ების გადაფასება             |                       | (414985)               |                                | (414985) |
| დივიდენდის გაცემა              |                       |                        |                                |          |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2022</b> | -                     | (414985)               | 1836520                        | 1421535  |
| კაპიტალის შემცირება            |                       |                        |                                |          |
| წლის წმინდა მოგება             |                       |                        | 1074172                        | 1074172  |
| დივიდენდის გაცემა              |                       | (625520)               |                                | (625520) |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2023</b> | -                     | (1040505)              | 2910692                        | 1870187  |



## შპს „ფარდი მედიკალს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფარდი მედიკალს“ (404474243) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული(ზასდ), კოსმეტიკური პროდუქციით, კოსმეტოლოგიური აპარატურით და სხვა პროდუქციით. კომპანია დაფუძნდა 2014 წელს. დამფუძნებელი, 100% - იანი წილის მფლობელი არის მარიამ მესხელი(37001011049) . დირექტორი არის ეკატერინე სადალაშვილი ( 01015020012) .

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ. 57.

ფაქტური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, მიცვეიძის ქ. 27გ.

### 2. კომპანიის მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი საღრიცხო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

#### 2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც საღრიცხო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდს ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი საღრიცხო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

#### 2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2020 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შედავათები (კონკრეტულ მუხლებზე გაოსაყენებელი გათავისუფლებები).

2020 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული საღრიცხო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლით გამოწვეული კორექტირებები იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

#### 2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

##### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

##### ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმომოხილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმომოხილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                            | აშშ დოლარი | ევრო   |
|----------------------------|------------|--------|
| 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6854     | 2.9753 |
| 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.7020     | 2.8844 |
| 2022 წლის 1 იანვრისათვის   | 3.0892     | 3.4991 |

#### 2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შევსებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება.

## შპს „ფარდი მედიკალს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

| ჯგუფი                    | სასარგებლო მომსახურების ვადები |
|--------------------------|--------------------------------|
| საოფისე აღჭურვილობა      | 4-9 წელი                       |
| ავტო და სხვა ინვენტარი   | 2-8 წელი                       |
| სატრანსპორტო საშუალებები | 6-14 წელი                      |

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

### 2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-9 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს საღირცხვო პროგრამებს.

### 2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

#### თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

#### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

#### სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

### 2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

### 2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულს ბანკში, ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

## შპს „ფარდი მედიკალს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

### 2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდით.

### 2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

### 2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოვულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

#### საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

#### მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

### 2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

### 2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოწვევი გარემოებები, ან, შეგვილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

## 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს „ფარდი მედიკალს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის**

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ პირველად წარადგინა მსს ფასს-ების მიხედვით. კომპანია ცვეთას ითვლიდა საგადასახადო მოგების (ზარალის) განსაზღვრისათვის. წარდგენის მიზნებისთვის დაკორექტირდა მიმდინარე და წინა წლების ცვეთა და ამორტიზაცია, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.

შპს „ქართული საწარმო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023, 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                        | იჯარით აღებული<br>ქონების კეთილმოწყობა | საოფისე<br>აღჭურვილობა | ავტო-და სხვა<br>ინვენტარი | ავტო-ტრანსპორტი | სულ      |
|----------------------------------------|----------------------------------------|------------------------|---------------------------|-----------------|----------|
| ისტორიული ღირებულება 31.12.2023        | 2966.00                                | 12775.08               | 16582.08                  | 17471.25        | 28633.58 |
| შემოსვლა                               |                                        |                        | 8705                      |                 |          |
| გადაფასება                             |                                        | 1144                   | 3535                      |                 |          |
| გასვლა                                 |                                        |                        | 1542                      |                 |          |
| ისტორიული ღირებულება 31.12.2023        | 2966.00                                | 13919.08               | 24973.82                  | 17471.25        | 44989.41 |
| დაგროვილი ცვეთა                        |                                        |                        |                           |                 |          |
| დაგროვილი ცვეთა 31.12.2022             | 2372.88                                | 7108.82                | 12700.53                  | 11430.73        | 33612.95 |
| ცვეთა                                  |                                        | 2039.09                | 3618                      | 1951.00         | 7608.09  |
| გასვლების დაგროვილი ცვეთა              |                                        |                        |                           |                 |          |
| დაგროვილი ცვეთა 31.12.2023             | 2372.88                                | 9147.91                | 16318.53                  | 13381.73        | 41221.10 |
| წმინდა საბალანსო ღირებულება            |                                        |                        |                           |                 |          |
| წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022 | 593.12                                 | 5666.26                | 5110.29                   | 9479.73         | 17410.00 |
| წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023 | 593.12                                 | 4771.17                | 8655.29                   | 4089.52         | 18108    |

შპს „ფარდი მედიკალს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

6. მარაგები

|                    | 2023          | 2022          |
|--------------------|---------------|---------------|
| მზა პროდუქცია      | 590422,73     | 427611        |
| სარეკლამო საქონელი | 4783,42       | 4332          |
| სხვა მარაგი        | 375           | 241           |
| <b>სულ</b>         | <b>595581</b> | <b>432183</b> |

7. საფაქრო და სხვა მოთხოვნები

|                                 | 2023           | 2022           |
|---------------------------------|----------------|----------------|
| საფაქრო მოთხოვნები - ნეტო       | 1224311        | 913523         |
| გადახდილი ავანსები              | 4 250          | 4 650          |
| წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა | 1 134          | 1 134          |
| სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები | 2985           | 22004          |
| <b>სულ</b>                      | <b>1232680</b> | <b>1017556</b> |

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები |               |               |
|---------------------------------------------------|---------------|---------------|
|                                                   | 2023          | 2022          |
| ფული საბანკო მიმდინარე ანგარიშებზე                | 105732        | 88441         |
| <b>სულ</b>                                        | <b>105732</b> | <b>88 441</b> |

**შპს „ფარდი მედიკალს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

**9. მიღებული სესხები**

| სესხები                                      | 2023     | 2022          |
|----------------------------------------------|----------|---------------|
| გრძელვადიანი                                 |          |               |
| საბანკო სესხები                              |          | -             |
|                                              | -        | -             |
| მოკლევადიანი                                 |          |               |
| გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი | -        | 11077         |
|                                              | -        | 11077         |
| <b>სულ სესხები</b>                           | <b>-</b> | <b>169577</b> |

სესხის დაფარვის ვადა 2023 წლის 18 იანვარი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6% .

**10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                                                            | 2023         | 2022           |
|------------------------------------------------------------|--------------|----------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                                      | 56994        | 84147          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ - გადასახდელი ხელფასები | 21155        | 21220          |
| მიღებული ავანსები                                          | 610          | 966            |
| მომსახურება ფიზიკური პირიდან                               | 2 860        | 2 860          |
| <b>სულ</b>                                                 | <b>81620</b> | <b>109 192</b> |

**11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

|                                   | 2023          | 2022          |
|-----------------------------------|---------------|---------------|
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 470342        | 360266        |
| <b>სულ</b>                        | <b>470342</b> | <b>360266</b> |

**შპს „ფარდი მედიკალს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

**12. შემოსავალი**

|                  | 2023             | 2022             |
|------------------|------------------|------------------|
| საქონლის გაყიდვა | 3 239 963        | 2 861 888        |
| <b>სულ</b>       | <b>3 239 963</b> | <b>2 861 888</b> |

**13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება**

|                                       | 2023           | 2022           |
|---------------------------------------|----------------|----------------|
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 934 870        | 903 392        |
| <b>სულ</b>                            | <b>934 870</b> | <b>903 392</b> |

**14. სხვა შემოსულობა/(ზარალი)-ნეტო**

|                                           | 2023            | 2022          |
|-------------------------------------------|-----------------|---------------|
| საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) | (12 346)        | 58 943        |
| <b>სულ</b>                                | <b>(12 346)</b> | <b>58 943</b> |

**15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

მსს ფას-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავე საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავე საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავე საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი, თუ

## შპს „ფარდი მედიკალს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამკვეთებზე ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავე საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავე საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

### 16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

### 17. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და გამოსაცემად მზად არის 2024 წლის 1 ოქტომბერს.

